დაუვიწყარი 90 წუთი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 3 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ლივერპული” (ლივერპული, ინგლისი) 3:0 (0:0).

“დინამო”: გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

“ლივერპული”: კლემენსი, ნილი, ირვინი, ტომპსონი, რ. კენედი, პანსენი, დალგლიში, კეისი (ფერკლაფი), ჯონსონი, მაკდერმოტი, საუნესი.

მსაჯები: ალტინგერი, იოფი და ულმი (ყველა – გფრ).

გოლები: გუცაევი (55–ე წ.), შენგელია (75), ჩივაძე (81, პენალტით).

აღსრულდა!

გუგუნებს 90–ათასიანი ტრიბუნა, გამარჯვების ციფრები ანთია ტაბლოზე, დამარცხებული სტოვებს ასპარეზს ჩემპიონთა ჩემპიონი, გასასვლელისკენ მიემართება უკანასკნელი ინგლისელი ფეხბურთელი. ხელები მაღლა აქვს შემართული და ტაშს უკრავს, ისიც ტაშს უკრავს ამ ბრწყინვალე გამარჯვებას. მინდორზე კი ერთმანეთს გადახვევიან ქართველი ფეხბურთელები.

კიდევ კარგა ხანს იდგება ფეხზე 90 ათასი კაცი, კიდევ კარგა ხანს იგუგუნებს ტრიბუნა და იმ წუთებში, ვინ იცის რამდენს გაახსენდება იმ მშვენიერი ქართული ფილმის სულ ბოლო კადრი: ზღვის ნაპირზე მდგომი თერთმეტი ვაჟკაცი, გამწარებულიც, დამარცხებულიც, და მაინც ვაჟკაცი, კაცური ცრემლით და სულისშემძვრელი სიმღერით…

როგორც იქნა, აღსრულდა!

ასეთი მატჩის შემდეგ თავში ათასი ფიქრი გიტრიალებს, სიხარული სუნთქვას გიკრავს, ისიც კი გავიწყდება, რომ რედაქციაში გელოდებიან, რომ მატჩის ანგარიშის დაწერაა საჭირო, იმ 90–წუთიანი მძიმე ორთაბრძოლის ქაღალდზე გადატანა. ბოლოს მაინც მოდიხარ გონს და საათ-ნახევრიანი წვიმით გაციებულ ფურცლებზე გაურკვეველ ჩანაწერებს დასცქერი.

რით დავიწყო?

თბილისელებმა კარგად იცოდნენ, რომ “ლივერპულის” ძალა იმ ოთხ ფეხბურთელშია, მინდვრის ცენტრს რომ ჰპატრონობს. ეს ოთხი ფეხბურთელი – კენედი, მაკდერმოტი, საუნესი, კეისი – თითქმის ყველაფერს აკეთებს მინდორზე: მცველებსაც ეხმარება, მინდვრის შუაგულსაც უწევს კონტროლს, თავდამსხმელებსაც ამარაგებს ბურთებით და თვითონაც გააქვს გოლები. ეს ყველაფერი, ჩემთვის მაინც, უფრო ყურმოკრული ამბავი იყო, მაგრამ მატჩი დაიწყო და მაშინვე ნათელი გახდა, რომ “ლივერპულის” ნახევარმცველებზე მართლაც ბევრი რამ არის დამოკიდებული. ნათელი გახდა ისიც, რომ ინგლისელი მცველები სულაც არ აპირებენ ჩვენი ფორვარდების პერსონალურ მეურვეობას. ოთხივე მცველი – ირვინი, ჰანსენი, ტომპსონი, ნილი – თავთავის ზონას დარაჯობს. თითქოსდა მშვენიერი შესაძლებლობაა იმისა, რომ “დინამომ” ლაღად ითამაშოს, მაგრამ… ეუფლებიან თუ არა თბილისელები ბურთს, მინდვრის ცენტრალურ ხაზამდე ჩამოწეული ორივე ფორვარდი ოთხ ნახევარმცველთან ერთად გადაულახავ ზღუდედ იმართება კლემენსის კარისკენ მიმავალ გზაზე. დაახლოებით 25 მეტრის სიგანის მართკუთხედში “ლივერპული”

პრესინგს თამაშობს. იმდენს და ისე სწრაფად მოძრაობენ სტუმრები, რომ ამ ზონაში თავისუფალი ადგილის მონახვა მართლაც ჭირს. პირველი 15 წუთი "დინამოს" იერიშები ამ ბადეში იხლართება. ამ ხნის განმავლობაში მასპინძლები, მართალია, ვერ ახერხებენ უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ "ლივერპულის" ნახევარდაცვაც იმდენ ენერგიას ხარჯავს, რომ ამან არ შეიძლება უკვალოდ ჩაიაროს.

და მაინც "დინამომ" ისევ გაცლა ამჯობინა. მანუჩარ მაჩაიძე, ხინჩაგაშვილი, ჩივაძე მშვიდად ათამაშებენ ბურთს საკუთარ საჯარიმო მოედნის სიახლოვეს – ინგლისელთა მუშტივით შეკრული ცენტრის გაწელვა, წინ გამოტყუებაა საჭირო.

ამ წუთიდან თამაშის ხასიათი იცვლება. ფრონტი გაიშალა, სულ უფრო მეტ ყურადღებას ითხოვენ ყიფიანი და მანუჩარ მაჩაიძე და ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, შედარებით თავისუფალი თამაშის საშუალება ეძლევათ გუცაევსა და შენგელიას. მართალია, იმის თქმა, რომ "ლივერპული" საბოლოოდ წამოეგო ანკესზე, ჯერ ნაადრევია, მაგრამ ინგლისელთა საჯარიმოში თანდათან გუბდება ხიფათი. 25–ე წუთზე მშვენივრად თამაშობს ყიფიანი. დავითმა რამდენიმე მცველი ჩამოიშორა, მერე გუცაევი მოძებნა და ფორვარდმა, მას შემდეგ, რაც მცველი მოატყუა და პირისპირ აღმოჩნდა კლემენსთან, პირველი ნაღდი შესაძლებლობა დაკარგა – ინგლისის ნაკრების გოლკიპერმა უკანასკნელ წამს მაინც მოახერხა ფეხით მოეგერიებინა ბურთი. 5 წუთის შემდეგ აკრძალული ილეთით აჩერებენ შენგელიას. თბილისელთა კაპიტნის დარტყმულ ბურთს ისევ კლემენსი გადაეღობა. კიდევ ხუთი წუთი და ახლა გუცაევი წააქციეს. პენალტი? მსაჯი ანიშნებს. განაგრძეთ თამაშიო.

"ლივერპული" გრძნობს, რომ მოვლენათა ამგვარ მსვლელობას კარგი არაფერი მოჰყვება და ცდილობს კონტრშეტევაზე გადასვლას.

პირველმა ტაიმმა ორი რამ გამოამზეურა: ქართველი ფეხბურთელები აშკარად სჯაბნიან მეტოქეს ტექნიკაში და სველი მინდორიც, ჩვენი ვარაუდით ინგლისელთათვის რომ უნდა ყოფილიყო სასურველი, არც თუ ისე საშიში მეტოქე გამოდგა. არადა, მართლა ვერ ეტყოდი სტუმრებს: წვიმა გიმღერდა ნანასაო.

55–ე წუთზე ბრწყინვალედ თამაშობს ყიფიანი. დავითი ცრუ მოძრაობით მოულოდნელად მოწყდა მეურვეს და ძლიერად ჩააწოდა კარის გასწვრივ. გუცაევი. წამის შემდეგ ბურთიცა და ფორვარდიც ინგლისელთა კარში აღმოჩნდნენ. 1:0. საერთო ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ ლივერპულში ჩივაძის გატანილი გოლის წყალობით ახლა მდევრის როლში ინგლისის ჩემპიონია.

არ ვიცი, ელოდა თუ არა ამას "ლივერპული", მაგრამ მოსახდენი მოხდა და სტუმრებსაც, უნდოდათ თუ არა, თამაშის მანერა უნდა შეეცვალათ. აქედან მოყოლებული ინგლისელები თითქოსდა უფრო აგრესიულად გამოიყურებიან, მაგრამ ყველაფერი "დინამოს" კარნახით ვითარდება.

ტრიბუნაზე ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი პირველი გოლით გამოწვეული აღფრთოვანება, რომ დარასელია–ყიფიანი–დარასელიას კომბინაცია კინაღამ მეორე გოლით დასრულდა – შენგელია, ცოტაც და მისწვდებოდა ბურთს.

ახლა ირვინიც ერთვება იერიშში. როგორც იქნა, გამოფხიზლდა მაკდერმოტიც. ინგლისელთა "ათიანის" ჩამოწოდებულ ბურთს კენედი ურტყამს თავს. გაბელია ადგილზეა.

შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთი რჩება. ჭილაია საკუთარი საჯარიმოდან მეტოქის საჯარიმომდე აღწევს, მერე ზუსტი გადაცემა და შენგელიამ მართლაც რომ

ოსტატურად მოძებნა გზა, რომელმაც მეორე გოლად აქცია მცველის მიერ დაწყებული რეიდი – 2:0.

“ლივერპულმა” კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, ერთმა საპასუხო გოლმა იქნებ უშველოს კიდეც საქმეს. “დინამო” ფიზიზლად არის. კიდევ ათი წუთი და აი აქ, მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე, ყველაფერი გაირკვა. საჯარიმოში შეჭრილი გუცაევი წააქციეს და ჩივაძემ მესამედ აიძულა კლემენსი მეკარისთვის ერთობ უსიამო პროცედურა შეესრულებინა.

3:0. დამსახურებული და სასახელო გამარჯვება!

აღსრულდა!

გუგუნებს 90–ათასიანი ტრიბუნა, გამარჯვების ციფრები ანთია ტაბლოზე.

კიდევ კარგა ხანს იდგება ფეხზე 90 ათასი კაცი, კიდევ კარგა ხანს იგუგუნებს ტრიბუნა და იმ წუთებში, ვინ იცის, რამდენს გაახსენდება ნანა მჭედლიძის ფილმის “პირველი მერცხლის” სულ ბოლო კადრი: ტალახში ამოგანგლული თერთმეტი გამწარებული ვაჟკაცი, კაცური ცრემლით და სულისშემძვრელი სიმღერით მიაცილებს გამარჯვებულ ბრიტანელთა გემს, ქედმაღლურად რომ მიგელავს შავი ზღვის ტალღებზე.

და როგორც იქნა…

ი. ბერიაშვილი.

“ლელო”, 4 ოქტომბერი, 1979 წ.